

ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ბათუმი

01 ივლისი 2013 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სარაგბო კლუბი ბათუმი“, შემდგომში წოდებული, როგორც შემსყიდველი, წარმოდგენილი მისი დირექტორის რუსლან რუსიძის სახით და მეორე მხრივ შპს „TRANSLATION CENTER“, მისი დირექტორის ირმა მიქიაშვილის სახით, შემდგომში წოდებული, როგორც მიმწოდებელი, ორივე ერთად წოდებული მხარეებად, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. „ხელშეკრულებასახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში ხელშეკრულება)- შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული შეთანხმება, რომელიც მოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელზეც ამ ხელშეკრულებაში არის მინიშნებები
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაუხადოს შემსყიდველმა მიმწოდებელს ამ უკანასკნელის მხრიდან ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულების შემდეგ
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“- კალენდარული დღე, კვირა, თვე თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 1.4. „შემსყიდველი“- შპს „სარაგბო კლუბი ბათუმი“
- 1.5. „მიმწოდებელი“- პირი, რომელიც ახორციელებს მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში
- 1.6. „მომსახურება“- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

მუხლი 2 ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „მიმწოდებლის“ მიერ შპს სარაგბო კლუბი ბათუმის და მორაგბეს შორის დასადები შრომითი ხელშეკრულების ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე თარგმნის შესრულება.

მუხლი 3 ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულება სულ წარმოადგენს 239 (ორასოცდაცხრამეტი ლარი 00 თეთრი) ლარს.

მუხლი 4 მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია

ა) განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება. კერძოდ შპს სარაგბო კლუბი ბათუმის და მორაგბეს შორის დასადები შრომითი ხელშეკრულების ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე თარგმნის შესრულება.

ბ) პასუხს აგებს უხარისხო მომსახურების გაწევისათვის

გ) განიხილოს „შემსყიდველის“ პრეტენზიები და დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები მისი აღმოჩენის მიზნით

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულება

4.2. „შემსყიდველის“ უფლება-მოვალეობანი

ა) უფლება აქვს უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

ბ) ვალდებულია გადაუხადოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებაში განსაზღვრული საზღაური ხელშეკრულებაში განსაზღვრული პირობების შესაბამისად

გ) „მიმწოდებელს“ წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისას

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები

მუხლი 5 ანგარიშსწორების წესი

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი წევით

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, „მიმწოდებლის“ საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად

მუხლი 6 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1. თუ ხელშეკრულების შესრულების მომენტში წარმოიშობა გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის რომელიმე მხარეს განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 7 დავების გადაწყვეტის წესი

7.1. ხელშეკრულების შესრულებასთან ან განმარტებასთან დაკავშირებული უთანხმოება გადაწყდება მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით

7.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 8 ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

მუხლი 9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან

9.2. მიწიდების ვადა განისაზღვროს 2013 წლის 26 დეკემბრამდე

მუხლი 10 დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ნაკისრი ვალდებულებების შესრულებიდან სტიქიური უბედურების, მიწისძვრის, ზუნებრივი კატაკლიზმების ან საომარი და საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში. ასევე ყველა იმ შემთხვევაში, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობა მიიჩნევს დაუძლეველ ძალად.

მუხლი 11 სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორიგინალურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა „მიმწოდებელს“, ხოლო დანარჩენი ინახება „შემსყიდველთან“

11.2. მხარეთა რეკვიზიტები

ა) „შემსყიდველი“

შპს სარაგბო კლუბი ბათუმი


ქ. ბათუმი ლუკა ასათიანის ქ.# 25

სს საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი BAGAGE 22

ა/ნ GE 60BG 000000284375600

დირექტორი: რუსლან რუსიძე



ბ) შპს „TRANSLATION CENTER“,

ს/კ 445398659

ქ. ბათუმი. გორგილამის ქ.# 2

სს „თიბისი“ ბანკი

ბანკის კოდი TBCBGE22

GE87 TB 7599 1360 8010 0001

დირექტორი: ირმა მიქიაშვილი



01/07/2013წ